



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
 კულტურის, განათლების,
 სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა
 საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 19-01210612971
 თარიღი: 02/03/2021
 პინი: 2667

ადრესატი: საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
 მისამართი: ქ. თბილისი ქეთევან წამებულის გამზირი N16

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
 რექტორს, ბატონ სერგო ტყეშელაშვილს

ბატონო სერგო,

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს სოციალურად დაუცველი სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამას, რომლის მიზანია სოციალურად დაუცველი წარმატებული სტუდენტების უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და სტუდენტების მოტივაციის ამაღლება. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საქართველოს მოქალაქე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე, ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის პროგრამაზე, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო პროგრამაზე, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, არის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი და რეგისტრირებულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის-სოციალური მომსახურების სააგენტოს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული სარეიტინგო ქულა ტოლია ან ნაკლებია 150 000-ზე და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან“ ამონაწერში ოჯახის საცხოვრებელი ადგილის მისამართად მითითებულია ქალაქი თბილისი.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მიზნით განცხადებების მიღება დაიწყება 2021 წლის 1 მარტიდან და გაგრძელდება 31 მაისის ჩათვლით (მის: შარტავას ქ. N7).

გიგზავნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის დადგენილებას N74-4 (დანართი 2), რომელიც ეხება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან სოციალურად დაუცველი სტუდენტების დაფინანსების ახალ წესს.

გთხოვთ, ხელი შეუწყოთ პროგრამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას სტუდენტებში და აგრეთვე გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული სოციალურად დაუცველი სტუდენტების ადმინისტრაციული რეგისტრაციის მიმდინარეობისას.

დანართი: 7 (შვიდი) ფურცელი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილაგა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
 (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
 ელექტრონული ხელმოწერა/
 ელექტრონული შტამპი

